სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №130899979

საქართველო

ორიათასცამეტი წლის ორ სექტემბერს, მე, ნოტარიუსს, დავით კეკელიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, გლდანის მას. ო.ხიზანიშვილის ქ.№37-ში მომმართა მოქ. **მერაბ ბიწაძემ, როგორც შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასი-ს დირექტორმა, ს.კ 202059431 ,** რომელმაც მოითხოვა სანოტარო აქტის /მინდობილობის/ შედგენა და მინდობილობით უფლებამოსილება მიანიჭოს მოქ. **თემურ კვირცხალიას.**

აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მოქ. **მერაბ ბიწაძემ,** დაბ. 29.07.1958წ, ჭიათურაში, რეგისტრირებული: თბილისი, დ.დ.დ.თავდადებულის ქ.№14, ბ.41, პ/მ გ 1088122, პ/ნ 01025020270, გაც. სრს საბურტალოს სამსახურის მიერ 21.08.2007წ., მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც გავაცანი მას ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასცამეტი წლის ორ სექტემბერს, მე, **მერაბ ბიწაძე,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მიმნდობი" წინამდებარე მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **თემურ კვირცხალიას,** დაბ. 14.12.1978წ, თბილისში, პ/ნ 01001009860, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც « მინდობილი პირი »:

- იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ ორგანიზაციებში და ორგანოებში, მათ შორის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, გამგეობაში, საკუთრების აღიარების კომისიაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში და მის არქივებში, იუსტიციის სახლის ნებისმიერ სამსახურში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, მერიის ს.ს.ს.ი.პ. „არქიტექტურის სამსახურში" და მერიასთან არსებული ზედამხედველობის სამსახურში, წარადგინოს , გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტაცია, შეიტანოს განცხადებები **შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასი-ს ,** სახელზე შეძენილი სკოლის, მდებარე: თბილისი, გლდანი, II მ/რ, კ.45ა , პროექტის მიღებასთან დაკავშირებით, გაატაროს რეგისტრაცია სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მიიღოს ამონაწერი, რისთვისაც შეკრიბოს და წარადგინოს შესაბამისი საბუთები, ცნობები, მიიღოს ნებართვა, პროექტი, მოახდინოს საპროექტო-სამიებო სამუშაოები , ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად შესაბამის საბუთებს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან, რაზედაც ვაწერ ხელს:

მიმნდობი ქერაბ ბიწაძე (მერაბ ბიწაძე)

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია ორიათასთოთხმეტი წლის ორ სექტემბრამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემ სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა – მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებისათვის საზღაური – 10-00 ლარი თანახმად სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 – 29.12.2011წელს, IV თავი, 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 39 მუხლის "1" პუნქტის თანახმად სარეგისტრაციო მოსაკრებელი – 2-00 ლარი, სულ გადახდილია – 12.00 ლარი.

ნოტარიუსი: დავით კეკელია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

78452192154813

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130899979

რეგისტრაციის თარიღი

02.09.2013 წ

ნოტარიუსი: დავით კეკელია
მისამართი: თბილისი, გლდანის მას, ო. ხიზანიშვილის ქ.#37
ტელეფონი: 2-58-81-08

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18